ქართული ხალხური სიმღერები

გურია

ვლადიმერ ბერძენიშვილის
გუნდის ჩანაწერების მიხედვით

Georgian Folk Songs

GURIA

According to the Recordings
of Vladimer Berdzenishvili's Choir

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
Ministry of Culture, Sports and Youth of Georgia
ანსამბლი „ბასიანი“
Ensemble Basiani

ქართული ხალხური სიმღერები
გურია

ვლადიმერ ბერძენიშვილის გუნდის ჩანაწერების მიხედვით

(1935-1937 წლები)

გამოცემა ეძღვნება ანსამბლ „ბასიანის“ 20 წლის იუბილეს

Georgian Folk Songs
Guria

According to the recordings of Vladimer Berdzenishvili's choir

(1935-1937 years)

The collection is dedicated to the 20th anniversary of ensemble Basiani

თბილისი
Tbilisi
2021

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

კრებულში შესულია სახელოვანი შემსრულებლისა და ლოტბარის, გურული სიმღერის დიდოსტატის, ვლადიმერ ბერძენიშვილისა და მისი ანსამბლის მიერ 1935 წელს სანკტ-პეტერბურგში (44 ნიმუში) და 1937 წელს მოსკოვში (4 ნიმუში) ჩაწერილი სიმღერების სანოტო ტრანსკრიფციები. ჩაწერას ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, იოსებ მეგრელიძე. სიმღერათაგან იშვიათია ისეთი, მხოლოდ ერთი ვარიანტით რომ იყოს წარმოდგენილი: ზოგან თითო სიმღერის სამ და მეტ ვარიანტსაც კი ვხვდებით. მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყოველი სიმღერა, ერთობლივ ნამღერთან ერთად, ჩაწერილია ცალ-ცალი ხმითაც, რაც დიდად ეხმარება პროფესიონალ შემსრულებელს, მკვლევარს, თუ სიმღერის შესწავლის მსურველს.

საარქივო ჩანაწერები, შეძლებისდაგვარად, გასუფთავდა ტექნიკური წუნისაგან და, ანსამბლ „ბასიანის“ მიერ გაცოცხლებულ და ჩაწერილ რამდენიმე სიმღერასთან ერთად აიტვირთა ინტერნეტსივრცეში. აღნიშნული ჩანაწერები კრებულის თანდართული აუდიომასალაა და შემსრულებელს ეძლევა შესაძლებლობა, ისინი ნიმუშების შესწავლისას გამოიყენოს.

Present collection comprises musical notations of the songs recorded by Vladimir Berdzenishvili – a renowned choirmaster and singer, grandmaster of Gurian song – and his ensemble in St. Petersburg in 1935 (44 examples) and Moscow in 1937 (4 examples). The recording session was supervised by renowned Georgian scholar, philologist Ioseb Megrelidze. Rare of these examples is presented by only one version – in some cases there are even three or more variants of the song. It is important that almost every song, along with joint singing, was also recorded by separate voices, which is of great help for a song lover, professional performer or researcher. The archival recordings were cleaned of technical flaws as much as possible and, along with several songs revived and recorded by ensemble Basiani, were uploaded to the internet. These recordings are the attached to the collection as audio material and a performer may use them when studying the examples.

ჩანაწერები იხილეთ ბმულზე:
The recordings are available at: https://audiomack.com/ensemble-basiani

იდეის ავტორი: ანზორ ერქომაიშვილი — **Author of the idea:** Anzor Erkomaishvili

შემდგენელი: ზურაბ წკრიალაშვილი — **Compiler:** Zurab Tskrialashvili

აუდიომასალის ნოტირება: ზურაბ წკრიალაშვილი — **Notation:** Zurab Tskrialashvili

პროექტის ხელმძღვანელები: გიორგი დონაძე და ზურაბ წკრიალაშვილი
Project managers: Giorgi Donadze and Zurab Tskrialashvili

მუსიკალური რედაქტორი: გიორგი დონაძე — **Music editor:** Giorgi Donadze

კონსულტანტები: გიორგი გაბუნია და სერგო ურუშაძე
Consultants: Giorgi Gabunia and Sergo Urushadze

კორექტორი: ლევან ვეშაპიძე — **Corrector:** Levan Veshapidze

ტექსტის რედაქტორი: ბაია ასიეშვილი — **Text editor:** Baia Asieshvili

მთარგმნელი: მაია კაჭკაჭიშვილი — **Translator:** Maia Kachkachishvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი — **Designer:** Nikoloz Gogashvili

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ზურაბ წკრიალაშვილი და ლევან ვეშაპიძე
Computer services: Zurab Tskrialashvili and Levan Veshapidze

ხმის რეჟისორი: არჩილ ბურჭულაძე — **Sound engineer:** Archil Burchuladze

© **ანსამბლი „ბასიანი“ — Ensemble “Basiani”**

ISMN 979-0-802101-67-8

მუსიკალური რედაქტორისაგან

სანკტ-პეტერბურგის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი) დაცულ ქართული ტრადიციული მუსიკის ჩანაწერებზე ანზორ ერქომაიშვილსა და მე არაერთხელ გვისაუბრია.

სიმღერები ცვილის ლილვაკებზე 1930-იან წლებში ევგენი გიპიუსმა, ზინაიდა ევალდიმ და იოსებ მეგრელიძემ ჩაიწერეს. ამ არქივში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 400-ზე მეტი სასიმღერო ნიმუშია დაცული, მათ შორისაა ამ კრებულში წარმოდგენილი გურული სიმღერის დიდოსტატის - ვლადიმერ ბერძენიშვილის - გუნდის ჩანაწერებიც.

ანზორ ერქომაიშვლის უდიდესი ღვაწლის შემადგენელია მსოფლიოს სხვადასხვა არქივში გაბნეული ქართული მუსიკის ძველი, უნიკალური, ჩანაწერების მიკვლევა, აღწერა და მათი ასლების სამშობლოში ჩამოტან. აპუშკინის ინსტიტუტში დაცული აუდიოარქივის ციფრული ასლიც მანვე დაამზადა და ჩამოიტანა - როგორც ერთ-ერთი უძვირფასესი შენაძენი ქართული კულტურისა.

2008 წლის აგვისტოში, ომამდე, ბატონ ანზორთან ერთად, ხსენებულ ინსტიტუტში სტუმრობისა და მუშაობის შესაძლებლობაც მომეცა. ჩვენი მიზანი იყო უნიკალური არქივის თანამედროვე საშუალებებით ციფრულ მატარებლებზე გადატანა და ამ უძვირფასესი ჩანაწერების უფრო მაღალი ხარისხის ასლების მიღება, ვიდრე მანამდე ბატონ ანზორს ჰქონდა.

არასდროს დამავიწყდება: პუშკინის ინსტიტუტის უკვე ხანშიშესულმა თანამშრომლებმა იცვნეს ბატონი ანზორი და გაიხსენეს, რომ იგი 30 წლის წინ, 1978 წელს, მათთან სტუმრობდა. მაშინ იგი მსოფლიოს არქივებში დაცული ქართული სიმღერა-გალობის ჩანაწერების კატალოგზე მუშაობდა. შესვლისთანავე ბატონმა ანზორმა ნახევრადხუმრობით მითხრა: „მგონი, აქ არაფერი გამოვა - ამათთან არაფერი შეცვლილა, მაგიდებიც კი ზუსტად ისე უდგათ, როგორც 30 წლის წინ“.

გულითადად და პატივისცემით მიგვიღეს. ჩვენ ვთხოვეთ, გვენახა და მოგვესმინა მათთან დაცული ქართული სიმღერები. გვაჩვენეს გაციფრებული არქივი ინსტიტუტში დაცული მასალების ნუმერაციით. მოგვიტანეს თავიანთ აღწერილობა-კატალოგში მოცემული პირველივე ქართული სიმღერის ჩანაწერი. სამწუხაროდ, ეს არა ქართული, არამედ მონღოლური სიმღერა იყო. ცხადია, შეცდომით აღეწერათ. სხვა ქართული (მათი აღწერილობით) სიმღერა, რომელიც ჩვენი თხოვნით მოგვასმენინეს, უზბეკური იყო. ბატონი ანზორი ძალიან შეწუხდა. ამის შემდეგ მან შესთავაზა, თავისი კატალოგის მიხედვით მოეძებნათ ჩანაწერები - ძველი ნუმერაციით. საბედნიეროდ, ბატონი ანზორის კატალოგი ზუსტი აღმოჩნდა. წამოსვლისას ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაიტოვეს ანზორის კატალოგი, რათა ახალი აღწერილობა იმის მიხედვით ჩაესწორებინათ. ამდენად, ანზორ ერქომაიშვილისეული კატალოგი მაღალი აკადემიური, წყაროთმცოდნეობითი და ზოგად-კულტურული მნიშვნელობისაა.

ბატონმა ანზორმა პუშკინის ინსტიტუტის არქივზე მუშაობა ახლო მომავლისათვის გადადო, რათა მოგვეძებნა ისეთი უახლესი აპარატურა, რომლის მეშვეობითაც ლილვაკებზე ჩაწერილი სიმღერების ციფრულ მატარებლებზე საუკეთესო ხარისხით გადატანა მოხერხდებოდა. თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს აგვისტოს ომი დაიწყო. შემდეგ მრავალი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა და, სადღეისოდ, ისევ ანზორ ერქომაიშვილის ციფრული არქივით ვსარგებლობთ, მათ შორის, ამ კრებულის გამოსაქვეყნებლადაც.

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

ანზორ ერქომაიშვილის იდეა იყო ამ არქივის ეტაპობრივი გამოცემა, ციფრული აუდიო-ალბომების სახით. პირველი კი ვლადიმერ ბერძენიშვილის გუნდის ჩანაწერები უნდა გამოსულიყო.

მაშინვე გაჩნდა იდეა, რომ ეს ჩანაწერები გაეცოცხლებინა ანსამბლ *ბასიანს* (როგორც ეს მოხდა 1901-1914 წლების აუდ ჩანაწერების შემთხვევაში, 2009 წელს). ამიტომაც ბატონმა ანზორმა არქივი ჩვენ გადმოგვცა - მე და ანსამბლ *ბასიანის* სოლისტს, კრიმანჭულის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებელს, გიორგი გაბუნიას.

არქივზე მუშაობის პროცესში გამოჩნდა სიმღერების ნოტირების აუცილებლობა: ჩანაწერებს შორის ერთსახელიანი სიმღერის მრავალი ვარიანტია, რომელთაგანაც ფაქტობრივად ყველა უნიკალურია - მელოდიურ-ფაქტურული თუ ჰარმონიული განვითარებულობისა და მრავალფეროვნების თვალსაზრისით. ჩვენ გვინდოდა, რომ ყველა ეს ვარიანტი ნოტზეც გადასულიყო. პირველ ეტაპზე გაიშიფრა ვლ. ბერძენიშვილისეული 48 სიმღერა - გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მსოფლიო პოლიფონიური მუსიკის უნიკალური შედევრები. სიმღერები ნოტებზე გადაიტანა *ბასიანის* სოლისტმა, გურული სიმღერის გამორჩეულმა შემსრულებელმა, ზურაბ წკრიალაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ანსამბლ *ბასიანს* და პირადად მე, მეტად ახლო შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა გვქონდა ლეგენდარული ვლადიმერ ბერძენიშვილის ვაჟთან, ასევე სწორუპოვარ მომღერალთან, გურული სიმღერის დიდოსტატთან, ოთარ ბერძენიშვილთან. ის ჩვენი მასწავლებელი იყო. ამდენად, როგორც ზურაბ წკრიალაშვილმა, ასევე მთელმა *ბასიანმა* კარგად ვიცით ბერძენიშვილების სასიმღერო სტილი და საშემსრულებლო მანერა. ოთარ ბერძენიშვილთან მრავალწლიანი სიახლოვე და მისგან მიღებული ცოდნა და გამოცდილება დაგვეხმარა ამ კრებულზე მუშაობაში - სიმღერების ნოტირებასა და რედაქტირებაში.

აქვე დავძენთ: ცხადია, არატემპერულ წყობაში ნამღერი, თავისებური ინტონაციისა და რიტმის სიმღერების სანოტო დაწერილობით სრულყოფილი გადმოცემა შეუძლებელია. მაგრამ აუდიო და სანოტო ჩანაწერების ერთობლივი გამოყენება უდიდეს სამსახურს გაუწევს ამ უნიკალური მემკვიდრეობით დაინტერესებულ მუსიკოსებსა თუ მკვლვრებს.

აღსანიშნავი ის უმძიმესი შრომა, რომელიც ზურაბ წკრიალაშვილმა გასწია ურთულესი პოლიფონიური და ჰარმონიული ენის სიმღერების გასაშიფრავად და ნოტებზე დადასატანად.

ჩვენ ვგეგმავთ ბერძენიშვილების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩაწერილი სხვა სიმღერების აუდიო და სანოტო ჩანაწერების გამოცემასაც.

ვლადიმერ ბერძენიშვილისა და მისი გუნდის ნამღერში ვლინდება გურული სიმღერის ღრმა და ყოვლისმომცველი ცოდნა. ჩანს, რომ ისინი კარგად იცნობდნენ იმ პერიოდში მოღვაწე ყველა შემსრულებლის რეპერტუარს, სტილსა და მანერას, იმდენად განსაცვიფრებლადაა შერწყმული და გარდასახული მათ შემოქმედებაში სხვადასხვა ოსტატის, სასიმღერო სკოლის თუ მიმართულების პოლიფონიური, ჰარმონიული და ესთეტიკური მიღწევები.

ვფიქრობთ, ეს გამოცემა ძვირფასი შენაძენი გახდება ქართული მუსიკით დაინტერესებული ყოველი პროფესიონალისა თუ შემსრულებლისათვის.

გიორგი დონაძე

შემდგენელისაგან

აბა, ბერძენიშვილო, ერთი ვადილა დეიწყე, ვადილაჲ! - მოისმის შეძახილი თითქმის საუკუნის წინ შესრულებული ერთ-ერთი საარქივო ჩანაწერიდან. *ვადილა ჰაა...*! - დაიგრგვინ-დაიბუბუნა ბანმა - სიმღერას გურული დიდოსტატი ვლადიმერ ბერძენიშვილი იწყებს: წამიერად გაბმულ ბანს ქორივით აცხრება ერმალო სიხარულიძის *ბასრი* მოძახილი და თეოფილე ლომთათიძის ისარივით *შემართული* გამყივანი. პირველი საოცარი ქართული აკორდი მყისიერად იპყრობს სივრცეს! წამიერ პაუზასა და სიჩუმეს კვლავ ბანის *ნამგლისებური* მოსმა არღვევს. *ჩასაფრებული* პირველ-მეორე კვლავ თვალშეუდგამ სიმაღლეზეა და პარტნიორს დიდხანს არ ტოვებს მარტო. შიგადაშიგ ბანის სოლო კვლავ ბატონდება და პერიოდულად მოძახილის სამფლობელოში იჭრება. ერმალო სიხარულიძისთვის ეს ნიშანია, მწყობრი მოძრაობით შეუერთდეს ბანს და გაჰყვეს მაღალი ბგერებისკენ, სადაც მათ, თავისი გასაოცარი, რთული და ჩახვეული კრიმანჭულ-გამყივანით, ზეცაში მერცხალივით მონავარდე თეოფილე ლომთათიძე ელოდება. სიმღერა ეშხში შედის. სამი *გადარეული* გურული იმპროვიზაციის ისეთ კორიანტელს აყენებს, რომ სუნთქვა გეკვრის, გეშინია, უმნიშვნელო ჩქამმა არ დაარღვიოს თითქმის საუკუნის წინ ჩაწერილი სიმღერის საოცარი წყობა და იდილია. სიმღერა *ერთი ამოსუნთქვით* მიიწევს ბოლოსკენ. ბოლო მუხლში მწყობრად მიემართება სამივე ხმა ერთი მიმართულებით და, საბოლოოდ, ერთ ადგილას - უნისონში - იყრის თავს, როგორც ეს ქართულ სიმღერას სჩვევია! *ვაშა, გურულებო, ვაშა*! - ბოლოს კვლავ გაისმის საქებარი შეძახილი! სიმღერა დასრულდა, თუმცა შთაბეჭდილებით გამოწვეული ემოცია არ ნელდება! - არა, ნამდვილად *გადარეულები* არიან - ამბობ შენთვის და ხელმეორედ რთავ ჩანაწერს... მთავრდება... ისევ რთავ... ისევ მთავრდება... არ გინდა, რომ დასრულდეს... გადადიხარ შემდეგ სიმღერაზე... — „აბა, ერმალო, *ალიფაშა* შემოსძახე, *ალიფაშ*!“ - ყველაფერი თავიდან იწყება... *ალიფაშას* ისევ *ადილა* მოსდევს, თუმცა ამჯერად სხვა ვარიანტი. განაგრძობ მოსმენას. ერმალოს, თეოფილესა და ლადიმეს (ასე ეძახდნენ ვლადიმერ ბერძენიშვილს) მომდევნო სიმღერებში უშანგი შევარდნაძე (მთქმელი) და მიხეილ კოროშინაძეც (ბანი) უერთდებიან. მოისმის განუმეორებელი *ჩვენ მშვიდობა*, გასაოცარი *ალილო*, შეუდარებელი *ლატარიის სიმღერა* და *მივალ გურიაში*, ცნობილი *მე, რუსთველი*, *შავი შაშვი*. ირგვლივ პოლიფონია ზეიმობს! ისმენ შენთვის ნაცნობ მრავალ სიმღერას, თუმცა ბევრად განსხვავებულ ვარიანტებს და გაოცებს მათი ორიგინალურობა! ხედავ, *წამოკრული* გამოჩნდა. სიმღერა, რომელიც თავისი დიდოსტატური შესრულებით ზენიტში აიყვანა ჩავლეიშვილის ტრიომ: სამუელ ჩავლეიშვილმა, სამუელ ჩხიკვიშვილმა და ვარლამ სიმონიშვილმა. თუმცა *წამოკრულის* ბერძენიშვილისეული ვარიანტი იმდენად დახვეწილი და ორიგინალურია, რომ გაოცებას ვერ მალავ - ეს შეუძლებელია, ეს უკვე მეტისმეტია! არანაირი *ლოგიკა* და *წესი* არ არსებობს მათ ვარიანტებში, სრულიად მოულოდნელი და უპროგნოზოა იმპროვიზაციისა და *მოჩუქურთმების* მათეული სტილი, მათი განუმეორებელი ხმები! ჯერი *ხასანბეგურაზე* მიდგა. *ხასანბეგურას* მრავალი საარქივო ჩანაწერი არსებობს გამორჩეული ოსტატების - ვარლამ სიმონიშვილის, ერქომაიშვილების, ხუხუნაიშვილების, გიორგი ბაბილოძის,

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

მიხეილ შავიშვილისა და სხვათა შესრულებით. ამ ჯგუფის მიერ ნათქვამი *ხასანბეგურაც* სრულიად უნიკალური აღმოჩნდა. დასკვნა: საქმე გაქვს ფენომენურ შემსრულებლებთან, რომლებიც ახლახან თავიდან აღმოაჩინე! მომღერლებთან, რომელთაც გურულ სიმღერაში იმპროვიზაციის ყველა შესაძლებლობა ფაქტობრივად ამოწურეს!

ანსამბლის გამორჩეული სახეა თეოფილე ლომთათიძე, გამყივან-კრიმანჭულისა და წვრილის ერთ-ერთი განუმეორებელი შემსრულებელი. ამოუწურავია მისი ხმის დიაპაზონი და ორიგინალურია მისი ვარიანტები. მისმა *ვაჟურმა კოლორატურამ* განაცვიფრა რომენ როლანი, სტალინი სიმღერის ხასიათზე მოიყვანა და მასთან და ლადიმესთან სიმღერა ათქმევინა. ამ იშვიათი ხმის ცნობილ შემსრულებლებთან, გიორგი ბაბილოძესა და მიხეილ შავიშვილთან ერთად, თეოფილე თამამად შეიძლება მივიჩნიოთ მოკრიმანჭულეთა *დიდი სამეულის* ღირსეულ წევრად!

აღსანიშნავია ერმალო სიხარულიძის, ლადიმე ბერძენიშვილის განუყრელი პარტნიორის, საუცხოო *წყება*. ერთდროულად მისი მკვეთრი და თბილი ხმის ტემბრი ყველასაგან გამორჩეულია. თვითმყოფადია მისი საშემსრულებლო მანერა და იმპროვიზაციის სტილი. სწორედ ლადიმეს გვერდით იდგა იგი 1937 წლამდე და, ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად, სიმღერათა უნიკალურ ვარიანტებს ქმნიდა. საოცარია ის ხმათშეწყობა და შემღერება, რაც ამ სამეულის მიერ შესრულებულ სიმღერებში იგრძნობა. გვახსენდება ჩავლეიშვილისა და სიმონიშვილის, ხუხუნაიშვილების, ძმები ერქომაიშვილების ტრიოები თუ ანსამბლები, თავიანთი უიშვიათესი ჰარმონიულობითა და ხმათშეწყობით. განსაკუთრებულია ლადიმეს, ერმალოს და თეოფილეს მიერ შესრულებული *ადილა* და *ალიფაშა*, იგი ამ სიმღერების აქამდე შესრულებული ყველა ვარიანტისაგან უთუოდ გამორჩეული და განსხვავებულია.

„იშვიათი სილამაზის, ხავერდოვანი ტემბრის, დიდი დიაპაზონის ხმა - ბანი; გასაოცარი ტექნიკა, ხმის ოსტატური ფლობა, იმპროვიზაციის საუცხოო უნარი, სიმღერაში საკუთარი ხელწერა, გურული სიმღერების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, მდიდარი გამოცდილება და უტყუარი ალღო, ანსამბლურობის ბრწყინვალე შეგრძნება, ვარიანტების ამოუწურავი შესაძლებლობა," - ასე ახასიათებს ანზორ ერქომაიშვილი ვლადიმერ ბერძენიშვილს. ეს ბრწყინვალედ დახატული მისი შემოქმედებითი პორტრეტია. მართლაც, სწორედ ლადიმე გახლდათ სიმღერათა სრულიად განსხვავებული ვარიანტების მთავარი შემოქმედი და სულის ჩამდგმელი, რომელმაც გურული მრავალხმიანი სიმღერა სრულიად ორიგინალურ და განსხვავებულ ჭრილში წარმოგვიდგინა, ხოლო მის გვერდით გამორჩეული მომღერლების დგომამ ხელი შეუწყო ლადიმეს ნიჭის წარმოჩენასა და თვითმყოფადი საშემსრულებლო სტილის დამკვიდრებას.

მოგვიანებით აღნიშნულ ხაზს ღირსეულად აგრძელებს ლადიმეს ვაჟი, ასევე შეუდარებელი ხმისა და ნიჭის პატრონი, შესანიშნავი მომღერალი და იმპროვიზატორი, ოთარ ბერძენიშვილი. ოთარი სიყმაწვილიდან მხარში ამოუდგა დიდოსტატ მამას, მრავალი საინტერესო ვარიანტი შექმნა და დაუტოვა მომავალ თაობას.

* * *

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

ვლადიმერ (ლადიმე) ბერძენიშვილი დაიბადა 1885 წლის 20 ივნისს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბანში, ტრადიციულ მომღერალთა ოჯახში. ბიჭს მალევე გამოაჩნდა სიმღერის ნიჭი. ჩოხატაურის ბაზარში, პარასკეობით, პატარა ლადიმე გრამაფონზე შაურად სამუელ ჩავლეიშვილის ჯგუფის ჩანაწერებს ისმენდა და, იშვიათი ნიჭისა და მეხსიერების წყალობით, ყველა ხმას იმახსოვრებდა.

წამოიზარდა და მასზე ასაკით უფროს თანასოფლელებთან - ვახტანგ და ბარნაბ სიხარულიძეებთან ერთად ტრიო ჩამოაყალიბა. მოგვიანებით, ლადიმეს ვაჟი ოთარი, მამის მონათხრობს იხსენებს: *ტრიოში მათთან ერთად შესრულებული სიმღერა სრულიად განსაკუთრებული რამ მოსასმენი იყო*!

ვლადიმერ (ლადიმე) ბერძენიშვილი
Vladimer (Ladime) Berdzenishvili
1885-1977

ლადიმე სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა ჩოხატაურში, ფოთსა და თბილისში, როგორც რიგით მომღერლად, ისე ანსამბლებისა და გუნდების ხელმძღვანელად. მღეროდა სამუელ ჩავლეიშვილსა და ვარლამ სიმონიშვილთან, ხელმძღვანელობდა ძუკუ ლოლუას სახელობის დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდის (ხელმძღვანელი კირილე პაჭკორია) გურულ ფრთას. 1962 წელს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ანზორ კავსაძემ იგი რამდენიმე თვით მიიწვია ანსამბლში გურული სიმღერების დასამუშავებლად.

1935 წლის ზაფხულში ლადიმეს ანსამბლი საგასტროლოდ მოსკოვსა და ლენინგრადში გაემგზავრა. ამ პერიოდში წევრები იყვნენ არაჩვეულებრივი მომღერლები: ფენომენური მოკრიმანჭულე თეოფილე ლომთათიძე; იშვიათი საშემსრულებლო მანერითა და ნიჭით გამორჩეული მოძახილები - ერმალო სიხარულიძე და უშანგი შევარდნაძე; ლადიმეს *კოლეგა* - ერთ-ერთი საუკეთესო ბანი მიხეილ კოროშინაძე. ლენინგრადში ანსამბლმა სწორედ ამ შემადგენლობით ჩაწერა ფილფონოგრაფზე 20-ზე მეტი გურული სიმღერა. ჩაწერის პროცესს გამოჩენილი რუსი ფოლკლორისტები - ზინაიდა ევალდი, ევგენი გიპიუსი და ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, იოსებ მეგრელიძე ხელმძღვანელობდნენ. ჩაწერის დროს უჩვეულო რამ მოხდა: როგორც ჩანს, ფოლკლორისტებმა ზუსტად შეაფასეს ის სირთულე, რომელიც შეიძლება მოჰყოლოდა ურთულესი პოლიფონიის მქონე გურული სიმღერის ჩანაწერების შემდგომ გაშიფვრასა და კვლევას, ამიტომ ანსამბლის წევრებს სთხოვეს, ემღერათ თითოეული სიმღერის ორი-სამი განსხვავებული ვარიანტი. ასევე მოახერხეს, ცალ-ცალკე ჩაეწერათ თითქმის ყოველი სიმღერის თითოეული ხმა. ეს ფაქტი იმ დროისთვის ფრიად უნიკალური იყო და ჩვენი მხრიდან დღესაც უდიდეს მადლიერებასა და დაფასებას იმსახურებს! ასეთი ვარიანტების არსებობა დიდ

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

დახმარებას უწევს გურული სიმღერის მკვლევარსა თუ მოყვარულს. ჩანაწერების დედნები რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში, ე.წ. პუშკინის სახლში ინახება.

1935 წლის ივლისში ლადიმეს ანსამბლი მოსკოვთან ახლოს მდებარე მაქსიმ გორკის აგარაკ *გორკაში* მიიწვიეს, სადაც იმ დროს სტუმრად იმყოფებოდა გამოჩენილი ფრანგი მწერალი და მუსიკისმცოდნე რომენ როლანი. სტუმრის პატივსაცემად გამართულ კონცერტზე მომღერლებმა რამდენიმე გურული სიმღერა შეასრულეს, რითაც დიდად გააოცეს საპატიო სტუმარი და თავად მასპინძელიც.

პირველ რიგში: ერმალო სიხარულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი, თეოფილე ლომთათიძე
მეორე რიგში - იოსებ მეგრელიძე, რუბენ ვასაძე
ლენინგრადი, 1935
The first row: Ermalo Sikharulidze, Vladimer Berdzenishvili, Teopile Lomtatidze
Second row: Ioseb Megrelidze, Ruben Vasadze
Leningrad (Saint Petersburg), 1935

არანაკლებ წარმატებას აღწევს ანსამბლი ქართული ხელოვნების დეკადაზე მოსკოვსა და ლენინგრადში 1937 წელს. ლადიმე სიამაყით იხსენებდა იმ ფაქტს, როდესაც კრემლის დიდ დარბაზში, დეკადის მონაწილეთათვის გამართული წვეულების დროს, მათთან ერთად გურული სიმღერები *ალიფაშა* და *ხასანბეგურა* სტალინმა შეასრულა. ჩვენს კრებულში დეკადაზე ყოფნის დროს ჩაწერილი ოთხი სიმღერაცაა შესული: *ნანინა, გრძელი ღილინი, ბურთის გამარჯვება* და *წამოკრული ღილინი*.

ჩვენთვის გამორჩეულად ფასეულია ვლადიმერ ბერძენიშვილის ჯგუფის მიერ 1935-1937 წლებში ჩაწერილი ეს უდიდესი საგანძური, რადგან სხვა ოსტატებთან ერთად, ოთარ ბერძენიშვილი გახლდათ ანსამბლ *ბასიანის* განსაკუთრებული მეგობარი და მასწავლებელი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ათიოდე წლის წინ ოთართან ერთად *ბასიანმა* ჩაწერა რამდენიმე გურული სიმღერა, რომლებიც უახლოეს მომავალში გამოიცემა. გვახსოვს, როდესაც ერთობლივი მუშაობის დროს, გიპიუსის არქივიდან ორი სიმღერა მოვასმენინეთ (იმ პერიოდში მხოლოდ რამდენიმე სიმღერა იყო ხელმისაწვდომი), ერთხანს ჩუმად იყო, შემდეგ კი თვალცრემლიანმა გვითხრა: *ასეთი საუცხოო ვარიანტები მეც კი არ მომისმენია მისგანო*! დღეს კი, საარქივო ჩანაწერების გამოქვეყნებით, მზის შუქი იხილა ქართული ფოლკლორის ოცზე მეტმა მარგალიტმა, რომელთა მოსმენა კვლავ გვაბრუნებს დიად წარსულში და გვახსენებს უნიჭიერეს მომღერალ წინაპარებს. მადლიერების ნიშნად, გვსურს, წინამდებარე კრებული ვლადიმერ და ოთარ ბერძენიშვილებისა და ქართული სიმღერის დიდოსტატთა ნათელ ხსოვნას მივუძღვნათ!

* * *

ENSEMBLE BASTANI

პრაქტიკული გამოყენების მიზნით, კრებულში ცალ-ცალკე დავაჯგუფეთ და ანბანურად დავალაგეთ ტრიო და ორპირული სიმღერები, თითოეულ ნიმუშს კი სარჩევში მივუთითეთ დედნისეული ფონოგრამის ნომერი.[1]

ჩანაწერების სიძველის გამო, ზოგიერთ სიმღერაში ვერ ხერხდება ამა თუ იმ მონაკვეთის მუსიკალური თუ სიტყვიერი ტექსტის ზუსტი გაშიფვრა, რის გამოც იძულებული ვართ, მსგავსი დანაკლისი თავად შევავსოთ - დავასრულოთ მუსიკალური ფრაზა ან ჩავსვათ ალტერნატიული ტექსტი.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს სანოტო პარტიტურაში გურული სიმღერისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სასიმღერო-საშემსრულებლო თუ სიტყვის თქმის მანერის ზუსტი გადმოცემა. ეს სირთულე მეტწილად ვლინდება ე.წ. *უშინაარსო მარცვლების* (გლოსოლალიების), სამღერისების, გამოყენებისას.[2] მაგალითისთვის მოვიყვანთ პირველი ხმის ოსტინატურ პასაჟს, სიმღერებიდან *მე, რუსთველი* და *ლატარიის სიმღერა*:

[1] სიმღერათა დედნისეული, ანუ ფონოგრამათა ნომრების ზრდის თანმიმდევრობა განსხვავებულია ანბანურისაგან.

[2] ზოგადად, ქართულ სიმღერაში ყოველი კუთხისთვის დამახასიათებელია ამგვარი სამღერისების გამოყენება. უხვად ვხვდებით მათ დასავლეთ საქართველოს სასიმღერო ტრადიციაში, განსაკუთრებით, გურულ დიალექტში.

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

ვხედავთ, რომ პირველ შემთხვევაში ის ჩაწერილი გვაქვს როგორც *ტინანო*, მეორეგან - *დინანო*. რეალურად კი ძნელია განსაზღვრო, კონკრეტულად რომელ თანხმოვანს იყენებს მომღერალი. სინამდვილეში ეს თანხმოვანი ორივეგან ერთი და იგივეა - გარკვეული შუალედური ჟღერადობა დონსა და ტარს შორის. შემსრულებელმა ის პირის ოდნავ ღია მანერით, აპარატის მინიმალური მოძრაობით, ვიწროდ და სწრაფად უნდა წარმოთქვას.

ერმალო სიხარულიძისა და უშანგი შევარდნაძის მიერ მოძახილის პარტიებში გამოყენებულ სამღერისებში განსაკუთრებით საყურადღებოა თანხმოვნები დ, რ, ნ, ლ. მაგალითად, ხშირად ძნელი დასაზუსტებელია, რომელ სამღერისს მიმართავს შემსრულებელი - *დელოს* თუ *რეროს*, *აბადელოს* თუ *აბარეროს* (ზოგადად, მსგავსი *გარდამავალი* ბგერები ხშირად გამოყენება გურულ სიმღერაში).

განსაკუთრებით ძნელია თავად ლადიმეს სასიმღერო მანერისა და მის მიერ შემოთავაზებული სამღერისების ზუსტი გადმოცემა სანოტო პარტიტურაში, რადგან იგი ყოვლად უჩვეულო ხერხებით ცდილობს სიმღერის გამშვენებას: ხმის განსაკუთრებული ვიბრაციით, გარდამავალი ხმოვან-თანხმოვნისაგან შედგენილი სამღერისებით, სახმო აპარატის არაერთგვაროვანი პოზიციით და ა.შ.

კვლავაც მნიშვნელოვან საკითხად რჩება ე. წ. კილოს, ავთენტიკური ბგერათრიგის პრობლემა, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე ხალხური სიმღერის ტრანსკრიფციის მცდელობისას. საკითხისადმი ინტერესი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაზრდილია, რადგან, ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ტრადიციული მუსიკა ვერ თავსდება კლასიკურ ტემპერაციულ ჩარჩოებში.[3] აქ ჩვენი მიზანი არაა თემის დეტალური განხილვა და სიღრმეში შესვლა, თუმცა, იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ერთობლივი ძალისხმევით უახლოეს მომავალში მოინახება ოპტიმალური გზა ქართული ტრადიციული მუსიკის ნოტზე დასაფიქსირებლად. ჯერჯერობით კი იძულებული ვხდებით, ქართული ტრადიციული სიმღერაც გარკვეულ ტონალურ ჩარჩოში მოვაქციოთ, რის გამოც ხშირად საგრძნობლად ირღვევა ამა თუ იმ ნიმუშის ავთენტიკური, ბუნებრივი ჟღერადობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს მოდულაციური ფაქტურის სიმღერების ტრანსკრიფციისას.

მაგალითისთვის მოგვყავს სიმღერა *ნანინას* სანოტო მაგალითი:

[3] ამ საკითხს დღესაც სწავლობს და იკვლევს სხვადასხვა მეცნიერი, მათ შორის: მალხაზ ერქვანიძე, სტიუარტ გელზერი, ლევან ვეშაპიძე, ზაალ წერეთელი და სხვ. მათ ამ საკითხის მიმართ თავიანთი შეხედულება და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიდგომა აქვთ.

ENSEMBLE BASIANI

თუ გვსურს მოცემული ნიმუშის ნოტზე მეტ-ნაკლებად ზუსტად გადაღება, მაშინ ჩვენ მიერ მონიშნულ ადგილზე *რე-ბეკარის* ნაცვლად უნდა დავწეროთ *რე-დიეზი* (ან *მი-ბემოლი*). შესაბამისად, ყველა მომდევნო ბგერაც აიწევს ნახევარი ტონით ზემოთ და გადაძახილის მუხლის ბოლო *ლა-ბეკარის* ნაცვლად იქნება *ლა-დიეზი*. ეს თავის მხრივ მოითხოვს, რომ ტრიოს შემდეგი მობრუნება ნაცვლად ვერტიკალისა - *რე, სი, რე*, უნდა გაგრძელდეს აკორდით - *მი-ბემოლ, დო, მი-ბემოლ*. შედეგად კი აღნიშნული და ყოველი მომდევნო მუხლი აიწევს ნახევარი ტონით ზემოთ, რაც ყოვლად დაუშვებელი და არასწორია. ამიტომ იძულებული ვართ, გარკვეული კომპრომისების ხარჯზე, დავიცვათ სიმღერის ტონალური სურათი და, მონიშნულ ადგილას, *დო-დიეზის* შემდგომი ბგერა ნაცვლად *რე-დიეზისა*, დავწეროთ *რე-ბეკარი* და ამის მიხედვით გავაგრძელოთ გადაძახილის მუხლის ჩაწერა.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, რეკომენდებულია, სიმღერის შესწავლისას მეტად მივენდოთ ავთენტიკური ჩანაწერის ორიგინალ ხმოვანებას, ყური დავუგდოთ იმ მანერულ თუ კილოურ თავისებურებებს, რომლებიც თანამედროვე დამწერლობით სრულფასოვნად ვერ გადმოიცემა, ნოტი კი გამოვიყენოთ როგორც გზამკვლევი, ერთგვარი დამხმარე საშუალება.

რეალურ ნამღერთან შედარებით საარქივო ჩანაწერებში ხშირად ტემპი აჩქარებულია, შესაბამისად, ტონალობაც აწეული, ამიტომ სიმღერის ნოტზე

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

გადატანისას ნაკლებად ვითვალისწინებთ, თუ რა სიმაღლეზე ჟღერს ჩანაწერში ესა თუ ის სიმღერა. ამის დადგენა ჩვენი კონკრეტულ მიზანი არაა. გაცილებით მნიშვნელოვანია, მოინახოს ოპტიმალური ბგერათრიგი თუ სიმაღლე, რათა, საგასაღებო თუ არასაგასაღებო ალტერაციის ნიშნების გამოყენების მხრივ, მაქსიმალურად გამარტივდეს ჩანაწერის ნოტზე გადატანის პროცესი. ხალხური სიმღერის ბუნების გამო, სიმღერისთვის არ არსებობს შესრულების მკაცრად განსაზღვრული სიმაღლე - მომღერალი მას თავად ირჩევს. მაგალითად, სიმღერა *ხასანბეგურაში* (№45), რომელიც ჩანაწერში პირველი ოქტავის *რე*-დან იწყება, დაწყებისთანავე აშკარად შეიმჩნევა, რომ ტემპიცა და ტონალობაც, პირველად ჟღერადობასთან შედარებით, აწეულია. ამიტომ გაშიფვრისას ჩვენ იგი *დო*-დან ჩავწერეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სიმღერები (გარდა *ბურთის გამარჯვებისა*) ჩაწერილია ხუთკაციანი ჯგუფის მიერ, რაც ორპირული სიმღერების შესრულებას გარკვეულ ტექნიკურ *პრობლემებს* უქმნის. ადვილი მისახვედრია, რომ სამხმიანი სიმღერის ორპირულად შესასრულებლად მინიმუმ ექვსი მომღერალია საჭირო, რათა თითოეული ხმა გუნდებს შორის სრულფასოვნად მონაცვლეობდეს. დანაკლისი ხმის გამო ხშირად ერთი შემსრულებელი (განსაკუთრებით - კრიმანჭული)[4] ორივე მხარეს მღერის. ამას კი ორი სახის პრობლემა ახლავს: პირველი - მომღერალი იძულებულია, გარკვეულ მონაკვეთებზე შეისვენოს, ანუ არ იმღეროს ფრაზის ესა თუ ის ნაწილი, და ამით დაძლიოს სიმღერის გაუჩერებლად, ფაქტობრივად ამოუსუნთქავად, შესრულების სირთულე. მეორე - შესრულებისას ორი გუნდი ერთმანეთს დამაბოლოებელი ბგერებით ვერ უკავშირდება. ჩვენ ასეთ *დანაკლისს* წვრილი შრიფტით ვავსებთ. მაგალითად მოგვყავს სიმღერა *ძველი აბადელია*, რომელშიც ნათლად ჩანს კრიმანჭულის მიერ *გამოტოვებული* ფრაზა და ორი გუნდის შემაკავშირებელი ბგერები. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ადგილები სანოტო პარტიტურაში ჩვენი შევსებულია.

[4] იმის მიუხედავად, რომ გადაძახილში ლადიმეს მეტწილად მიხეილ კოროშინაძე ანაცვლებდა, ხშირად, როგორც ბანი, მაინც მარტო მონაწილეობდა ორპირულ სიმღერებში და, კრიმანჭულთან ერთად, ორივე მხარეს თავად მღეროდა.

ბასიანი ENSEMBLE BASIANI

შემსრულებელთა მითითებისას კონკრეტულ ნიმუშში მეტწილად ვეყრდნობით იმ ინფორმაციას, რომელსაც თავად მომღერლები აცხადებენ სიმღერის დაწყების წინ. აღსანიშნავია, რომ ტრიო სიმღერებში, ძირითადად, თეოფილე ლომთათიძე, ერმალო სიხარულიძე და ვლადიმერ ბერძენიშვილი დომინირებენ. ამიტომ ხშირად, როცა შემსრულებელი არ ცხადდება, სავარაუდოდ, აღნიშნული შემადგენლობა ასრულებს, თუმცა საკმაოდ ძნელია ერთმანეთისაგან გაარჩიო ხმები ერმალო სიხარულიძისა და უშანგი შევარდნაძისა (იმდენად ჰგავს მათი ტემბრი და შესრულების მანერა ერთმანეთს), რომლებიც ტრიოს სხვადასხვა სიმღერაში ერთმანეთს ენაცვლებიან. ამიტომ პარტიტურაში შემსრულებელს ყოველთვის არ ვუთითებთ, რათა დაუზუსტებელმა ინფორმაციამ შეცდომაში არ შეიყვანოს მსმენელი.

დასასრულ: წინამდებარე გამოცემა არის პირველი მცდელობა, ერთიანი კრებულის სახით დაიბეჭდოს ბერძენიშვილის ანსამბლის მიერ ჩაწერილი სიმღერების სანოტო ვერსია,[5] რაც კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებულების გამოცემის საქმეში.

კრებულს ბოლოს ერთვის შენიშვნები და კომენტარები თითოეული სიმღერის შესახებ, რომელებზეც ნაწილობრივ ვისაუბრეთ წინასიტყვაობაში.

ზურაბ წკრიალაშვილი

[5] ბერძენიშვილების მიერ შესრულებული ზოგიერთი ნიმუში ლევან ვეშაპიძემ შეიტანა *გურული ხალხური სიმღერების* სანოტო კრებულში (2006 წ.).

From the musical editor

Anzor Erkomaishvili and I have repeatedly talked about the recordings of Georgian traditional music preserved at the Pushkin Institute of Literature in St. Petersburg.

The songs were recorded on the wax cylinders by Yevgeni Gippius, Zinaida Evald and Ioseb Megrelidze in the 1930s. This archive holds over 400 song examples from different parts of Georgia, including the recordings of the choir directed by Vladimer Berdzenishvili – grand master of Gurian song.

Among Anzor Erkomaishvili's greatest contributions is seeking for and describing unique old recordings of Georgian music scattered in various archives worldwide, and bringing them back to their homeland. He also made and brought to Georgia a digital copy of the audio archive preserved at the Pushkin Institute as one of the most valuable acquisitions of Georgian culture.

In August 2008, before the war, I had the opportunity to work at the institute together with Mr. Erkomaishvili. We aimed at transferring the unique archive to digital media and obtaining higher quality copies of these precious recordings than Anzor had before.

I will never forget: the already aged employees of the Pushkin Institute welcomed Anzor and remembered that he had visited them 30 years ago, in 1978. At that time, he was working on a catalog of recordings of Georgian chants preserved in the world archives. As we went in, Anzor half-jokingly told me: *I don't think that anything will work out here - nothing has changed, even the tables are the same as they were 30 years ago.*

We were received warmly and respectfully. We asked to show and let us listen to the Georgian songs preserved there. We were showed a digitized archive with the numbering of materials stored at the institute. They gave us the recording of the first Georgian song from their description-catalog. Sadly, that was a Mongolian, not a Georgian song. Obviously, they were incorrectly described. The other Georgian song (according to their description) that we listened to at our request was an Uzbek one. Anzor was very upset. He then offered to search the records according to his catalog, – with old numbering. Luckily, Anzor's catalog turned out to be accurate. Upon departure, the staff of the institute kept Anzor's catalog to correct the new description accordingly. Thus, Anzor Erkomaishvili's catalog is of high academic, source-study and general cultural significance.

Anzor Erkomaishvili postponed the work on the archives of the Pushkin Institute for the near future, in order to find the up-to-date equipment providing best quality transfer of the songs from the cylinders to digital media. The second day of our arrival in Tbilisi, the August war began. Then many unforeseen things happened and, today, we still use Anzor Erkomaishvili's digital archive, including for the publication of this collection.

Anzor's idea was to gradually publish this archive as digital audio albums. The recordings of Vladimer Berdzenishvili's choir were to be published first.

The idea that Basiani would revive these recordings (as was the case with the 1901-1914 audio recordings, in 2009) emerged immediately. Therefore, Anzor handed over the archive to us - to me and Georgy Gabunia - the Basiani soloist, one of the best *krimanchuli* singers.

In the process of working on the archive, there arose the need for musical notation of the songs: there are many variants of the song of the same name among the records, all of which are actually unique - in terms of melodic-textural or harmonic development and diversity. We wanted all of these variants to be transcribed as well. At the first stage, notated were V. Berdzenishvili's 48 songs – without exaggeration, the masterpieces of world polyphonic music. The songs were transcribed by Zurab Tskrialashvili, a soloist of Basiani, a distinguished performer of Gurian song.

It is noteworthy that ensemble Basiani and I personally had a very close creative and friendly relations with legendary Vladimer Berdzenishvili's son, Otar Berdzenishvili – also an incomparable singer, great master of Gurian song.

He was our teacher. Thus, Zurab Tskrialashvili as well as all Basiani members are well aware of the Berdzenishvilis' singing style and performance manner. Many years of closeness to Otar Berdzenishvili and the knowledge and experience acquired from him helped us to work on this collection - notation and editing of songs. Many years of closeness with Otar Berdzenishvili, as well as the knowledge and experience received from him, helped us in the work on the collection – transcribing and editing the songs.

Here we would like to add: certainly it is impossible to perfectly convey the songs performed in a non-tempered arrangement, with peculiar intonation and rhythm. But the use of audio recordings and sheet music together will be of great benefit to the musicians or researchers interested in this unique heritage.

Significant is Zurab Tskrialashvili's hard work to transcribe the songs with the most complex polyphonic and harmonic language.

We also plan to release audio recordings and music collection of other songs recorded by the Berdzenishvilis at various times.

The songs performed by Vladimer Berdzenishvili and his choir reveal a deep and comprehensive knowledge of Gurian song. They obviously were well acquainted with the repertoire, style and performance manner of all the performers of the time, in their creations they amazingly combined and transformed the polyphonic, harmonious and aesthetic achievements of various masters, schools and directions of singing.

We think this edition will be a valuable purchase for any professional or amateur interested in Georgian music.

Giorgi Donadze

From the complier

"Well, Berdzenishvili, start vadila!" - is heard in an archival recording made almost a century ago. "Vadila ha ...!" - boomed the bass, - Gurian grandmaster Vladimer Berdzenishvili starts the song: Ermalo Sikharulidze's sharp *modzakhili* like a hawk and Teopile Lomtatidze's arrow-like *gamqivani* attacked the brief sustained bass. The first amazing Georgian chord instantly conquers the surroundings! Again the bass breaks instant pause and silence. The ambush first and second voices are still at an unseen height and do not leave the partner alone for long. From time to time solo bass again becomes dominant and, periodically, penetrates through the 'realm' of *modzakhili.* For Ermalo Sikharulidze, this is a sign to join the bass with an orderly movement and follow it to high pitches, where they are awaited by Teopile Lomtatidze, like a swallow floating in the sky, with his amazing, complex and intertwined *krimanchuli-gamqivani*. The singing gets more and more captivating. Three crazy Gurians kick up such a whirlwind of improvisation, that you hold your breath, you are afraid that the slightest noise may break the amazing structure and idyll of the song recorded almost a century ago. The song is moving to the end in one breath. In the final stanza all three voices orderly move in one direction. And, finally, they gather in one place - in unison, as is customary for Georgian song. "Bravo, Gurians, Bravo!" - at the end the praise is heard again! The song is over, but the emotions evoked by the impression do not subside! – They are really crazy - you say to yourself and listen again... It ends ... you listen again ... it ends again ... you do not want it to end ... You move to the next song ... - "Now, Ermalo, start Alipasha!" - Everything starts from the beginning ... *Alipasha* is followed by *Adila* again, but this time another variant. You keep listening. In the following songs Ermalo, Teopile and Ladime (this is how Vladimer Berdzenishvili was called) are joined by Ushangi Shevardnadze (*mtkmeli*) and Mikheil Koroshinadze (bass). They sing inique *Chven mshvidoba*, amazing *Alilo*, inimitable *Latariis simghera* and *Mival guriashi*, famous *Me rustveli* and *Shavi shashvi.* This is the feast of polyphony! You listen to many familiar songs, though different variants and are amazed by their originality! Here comes *Tsamokruli*, the song that the Chavleishvili trio: Samuel Chavleishvili, Samuel Chkhikvishvili and Varlam Simonishvili brought to the pinnacle with their mastery performance. But, the Berdzenishvili's variant of *Tsamokruli* is so sophisticated and original that one cannot hide surprise. – this is impossible; this is too much! There is no logic or rule in their variants, their style of improvisation and ornamentation is absolutely unexpected and unpredictable, their voices unique! Here comes *Khasanbegura.* There are many archival recordings of *Khasanbegura*

ENSEMBLE DASTANI

as performed by distinguished masters - Varlam Simonishvili, the Erkomaishvilis, the Khukhunaishvilis, Giorgi Babilodze, Mikheil Shavishvili and others. But the *Khasanbegura* performed by this group, is completely different. Conclusion: We are dealing with phenomenal performers we have just rediscovered! the singers who have practically exhausted all possibilities of improvisation in Gurian song!

Distinctive member of the ensemble is Teopile Lomtatidze, one of the unique performers of *gamqivan-krimanchuli* and *tsvrili*. His vocal range is limitless and his variations - original. Lomtatidze's "manly coloratura" amazed Romain Rolland, awakened Stalin's desire to sing, and he did sing with Teopile and Ladime. Along with the famous performers of this rare part, Giorgi Babilodze and Mikheil Shavishvili, Teopile can boldly be considered a worthy member of the great *krimanchuli* trio!

Noteworthy is remarkable *damtsqebi* Ermalo Sikharulidze, Ladime Berdzenishvili's inseparable partner. Distinguished is his voice with simultaneously harsh and warm timbre. His performance manner and improvisation style are original. He was beside Ladime until 1937 and, created unique variants of songs together with other members of the ensemble.

The songs performed by the trio boast amazing harmony and matching of the voices. We remember the trios and ensembles of Chavleishvili and Simonishvili, the Khukhunaishvilis, Erkomaishvili brothers, with their rarest harmony and blend of voices. Special is *Adila* and *Alipasha* as performed by Ladime, Ermalo and Teopile, – different and distinguished from all the variants of these songs performed so far.

"The voice of rare beauty, velvety timbre, large range – bass; Amazing technique, mastery of voice, excellent ability of improvisation, his own style of singing, thorough knowledge of Gurian songs, rich experience, unmistakable intuition, brilliant sense of the ensemble, endless possibilities of variants" - this is Vladimer Berdzenishvili's creative portrait brilliantly painted by Anzor Erkomaishvili. Indeed, Ladime was main creator and inspirer of completely different variants of songs, he presented Gurian polyphonic song in a completely original and different way; the presence of outstanding singers by his side helped to reveal Ladime's talent and form a unique performing style. Later, the line was with dignity continued by Otar Berdzenishvili – Ladime's son, also an incomparable voice and talent, wonderful singer and improviser. Otar, from his youth supported his father, created many interesting variants and left them to future generations.

* * *

ENSEMBLE BASIANI

Vladimer (Ladime) Berdzenishvili was born to a family of traditional singers on June 20, 1885, in the village of Gogolesubani, Chokhatauri district. The boy soon showed a talent for singing. On Fridays little Ladime, for five kopecks, listened to the recordings of Samuel Chavleishvili's group on the gramophone at Chokhatauri market; and thanks to his rare talent and memory, mastered all the voice-parts.

He grew up and formed a trio with his fellow villagers - Vakhtang and Barnab Sikharulidze. Later, Ladime's son Otar recalls his father's story: The song performed by them in the trio was a very special to listen!

Ladime, at different times, worked in Chokhatauri, Poti and Tbilisi, as a regular singer, as well as director of ensembles and choirs; sang with Samuel Chavleishvili and Varlam Simonishvili, led the Gurian wing of Dzuku Lolua West Georgian Choir (directed by Kirile Pachkoria). In 1962, Anzor Kavsadze, Director of the State Song and Dance Ensemble, invited him for several months to help them master Gurian songs.

In the summer of 1935, Ladime's ensemble toured Moscow and Leningrad. At the time the members of his ensemble were extraordinary singers: Teopile Lomtatidze – a phenomenal *krimanchuli*; Ermalo Sikharulidze and Ushangi Shevardnadze - *modzakhili,* distinguished by rare performance manner and talent; Mikheil Koroshinadze – Ladime's colleague, one of the best bass singers. With this membership the ensemble recorded more than 20 Gurian songs on the phonograph in Leningrad. The recording process was supervised by famous Russian folklorists - Zinaida Ewald, Yevgeny Gippius and renowned Georgian scholar, philologist Ioseb Megrelidze. An unusual thing happened at the recording session: the folklorists seem to have accurately assessed the difficulty that could have occurred in the process of transcription and research of Gurian songs with most complex polyphony. So the members of the ensemble were asked to sing two or three different variants of each song, they also separately recorded all the voices of almost every song. This fact was unique at that time and deserves gratitude and appreciation today! The existence of such variants is of great help to the lovers and researchers of Gurian song. The original recordings are preserved at the Museum of Russian Literature, the so-called Pushkin House.

In July 1935, Ladime's ensemble was invited to Maxim Gorky's summer cottage in Gorky, near Moscow, where famous French writer and musicologist Romain Rolland was a guest at the time. At the concert held in honor of the guest, the singers performed several Gurian songs, which greatly surprised both the guest and the host himself.

The ensemble was no less success at the Days of Georgian Art in Moscow and Leningrad in 1937. Ladime proudly recalled the fact that Stalin sang Gurian songs *Alipasha* and *Khasanbegura* together with them at the party organized for the participants

of the event at the Grand Kremlin Palace. Our collection also includes three songs: *Nanina*, *Grdzeli ghighini* and *Burtis gamarjveba* recorded during the Days of Georgian culture.

This legacy of Vladimer Berdzenishvili's group from 1935-37 is especially valuable for us, because along with other masters, Otar Berdzenishvili was a special friend and teacher of ensemble Basiani. Let us note here that several Gurian songs recorded about ten years ago by Basiani together with Otar, will be released in the near future. When we worked together, we listened to two songs from Gippius' archive (at that time there were only a few songs available), he remained silent for a while, and then with tears in his eyes he said: "even I have never heard such wonderful variants from him!" Today, with the publication of archival recordings, more than twenty pearls of Georgian folklore have seen the light, listening to which brings us back to the great past and reminds us of the most talented singer-ancestors. As a token of gratitude, we dedicate this collection to the vivid memory of Vladimer and Otar Berdzenishvili - the great masters of Georgian song!

გურულ მომღერალთა გუნდი, თბილისი, 1929 წ.
მარცხნიდან მარჯვნივ: პირველი - ვლადიმერ ბერძენიშვილი, მეორე - უშანგი შევარდნაძე, მესამე - თეოფილე ლომთათიძე, მეოთხე - ერმალო სიხარულიძე, მეცხრე - მიხეილ კოროშინაძე.
Gurian singers' choir, Tbilisi, 1929
From left to right: I - Vladimer Berdzenishvili, II - Ushangi Shevardnadze, III - Teopile Lomtatidze, IV - Ermalo Sikharulidze, IX - Mikheil Koroshinadze.

* * *

ENSEMBLE BASTANI

For practical purpose, we have grouped and arranged in alphabetical order the trio and antiphonal songs, and indicated the original phonogram number for each example in the table of contents. The number sequence of original songs or phonograms differs from the alphabetical.

Due to the age of the recordings, it is impossible to figure out the musical or verbal text of one or another fragment of some songs, so we are forced to fill in such a gap ourselves – to complete a musical phrase or insert an alternative text.

An important issue is the so-called mode, the problem of an authentic sound scale, which is especially evident when transcribing a folk song in the a five-line notation system. Interest in the issue has increased especially recently, as it is a well-known fact that Georgian traditional music does not fit into the classical framework of temperament.[1] It is not our goal to discuss the topic in detail and go into depth, however, we hope that, through the joint efforts, the researchers interested in the issue will find an optimal way for the notation of Georgian traditional music in the near future. So far, we have to put Georgian traditional song within a certain tonal framework, which is why authentic, natural sound of this or that example is often significantly violated. This problem is especially evident when transcribing the songs with modulation texture. As a model, here is the musical example of the song *Nanina*.

[1] This issue is still studied and researched by various scientists, including: Malkhaz Erkvanidze, Stewart Gelzer, Levan Veshapidze, Zaal Tsereteli and others. They have their own views and a well-established approach to the issue.

ENSEMBLE BASIANI

In order to notate this example more or less accurately, in the place marked in red there should be D sharp (or E flat) instead of D natural. Correspondingly, all subsequent tones will also rise by a semitone, and instead of final A natural of the stanza in *gadadzakhili* there will be A sharp. This, in turn, requires that instead of the D-B-D vertical, the next phrase of the trio continues with an E flat-C- E flat chord. As a result, this and each subsequent stanza rises by a semitone, which is absolutely inadmissible and wrong. Therefore, we are forced to protect the tonal image of the song through certain compromises and in the marked place write D natural instead of D sharp after C sharp and continue transcribing the stanza of *gadadzakhili* according to this.

Based on the afore-mentioned, it is recommended to rely on the original sound of the authentic recording when studying a song, pay attention to the manner or modal peculiarities, which cannot be fully conveyed in modern writing, and use sheet music as a guide, a kind of helper.

In archival recordings, the tempo is often accelerated compared to the real song, correspondingly the tonality is also raised, therefore, when transcribing a song, we pay less attention to how loud this or that song sounds in the recording. Determining this is not our specific goal. It is much more important to find the optimal sound scale or pitch, in order to simplify the notation process as much as possible in terms of using key or non-key signs of alliteration. Due to the nature of a folk song, there is no strictly defined pitch of song performance – the singer chooses it himself. For example, in the song *Khasanbegura* (♯ 45), which, in the recording starts from the first octave D, from the start it becomes obvious that the tempo and tonality are also increased compared to the original sound. So we have transcribed it from C.

Finally: this edition is the first attempt to publish a unified version of the songs recorded by the Berdzenishvilis in different periods, in the form of a music collection.[2]

The collection is supplied with the notes and comments about each song, which we partly talked about in the preface.

Zurab Tskrialashvili

[2] Some examples performed by the Berdzenishvilis have been included by Levan Veshapidze in the music collection of Gurian folk songs (2006).

ბასიანი
ENSEMBLE
BASIANI

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია
International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/ɑ/	father	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	bless	
გ	g	/g/	given	
დ	d	/d/	day	
ე	e	/ɛ/	set	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	vet	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	zenith	
